

საქართველოში კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მხრივ არსებულ პრობლემებზე, "ინტერპრესნიუსი" "თავისუფალი დემოკრატიების" წევრს, ორგანიზაცია "თბილისის ჰამქარის" ყოფილ ხელმძღვანელს, **თამარ ამაშუკელს** ესაუბრა.

- ქალბატონო თამარ, თქვენ ახლახან "ტფილისის ამქარის" თავმჯდომარეობა დატოვეთ და "თავისუფალ დემოკრატიების" წევრი გახდით. მათთან ერთად კი, 13 ოქტომბერს წარმოადგინეთ კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და განვითარების ხედვა, რომელსაც იზიარებს და ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში "თავისუფალი დემოკრატიები" განახორციელებთ. გაგვაცანით თქვენი ხედვა. აცხადებთ, რომ კულტურული მემკვიდრეობის დასაცავად სისტემის შექმნაა საჭირო.

- პირველ რიგში მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენი მიდგომა კულტურული მემკვიდრეობისადმი არის მისი განვითარება მისი დაცვის გზით. აუცილებელია, კულტურული მემკვიდრეობა განვითარდეს, მაგრამ ამ განვითარებამ ის არ უნდა დააზიანოს. აუცილებელია, მოიძებნოს ბალანსი თანამედროვე მოთხოვნებსა და კულტურულ მემკვიდრეობის დაცვას შორის. ეს ბალანსი არის იმის გარანტი, რომ ჩვენ კულტურულ მემკვიდრეობას აღეკვამტურად განვავითარებთ. ამისთვის საჭიროა მთელი რიგი ნაბიჯები, რომლებიც ცოცხალი უკვე დაგვიანებულია და წინა ხელისუფლებებს უნდა გაეკეთებინათ. დღეს არ გვაქვს სტრატეგია და მიდგომა, თუ როგორ ვიცავთ, ვავითარებთ ჩვენს კულტურულ მემკვიდრეობას. ჩვენს მიერ წარმოდგენილ ხედვაში არის ძირითადი პუნქტები, მაგრამ სამომავლოდ გავაკეთებთ უფრო დეტალურ ნაბიჯებს ყოველი პუნქტის ქვეშ. პირველ რიგში აუცილებელია, მოხდეს თემის დეპოლიტიზაცია. ამ ეტაპზე თემა არის ძალიან პოლიტიზებული და მოთამაშები არიან უფრო მეტად პოლიტიკოსები, ვიდრე - პროფესიონალები. ეს ძალიან ცუდია და ამან ძალიან ბევრი ობიექტი დაგვაკარგვინა. იმისთვის, რომ მოხდეს დეპოლიტიზაცია და ეს ყველაფერი პროფესიონალურ ღონებზე გადავიდეს, საჭიროა, შეიქმნას საჭირო საკანონმდებლო ბაზა და საერთაშორისო სტანდარტებს მიუახლოვდეს. ამავე დროს გაკეთდეს მარეგულირებელი ღონისძიებები, რეგულაციები, რომელთა შესრულება ყველასთვის სავალდებულო იქნება. ასეთ შემთხვევაში კულტურული მემკვიდრეობისადმი მიდგომა არ შეიცვლება ყოველი ახალი პოლიტიკური ძალის მოსვლის შემთხვევაში და არ შეიცვლება გავლენიანი, ბიზნესის მქონე ადამიანების ინტერესების გამო. ჩვენ ვფიქრობთ, რომ უნდა მომზადდეს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის გრძელვადიანი სტრატეგია და იგი ყველა ხელისუფლებამ უნდა შეასრულოს, რადგან კულტურული მემკვიდრეობა არაგანახლებადი რესურსია. რასაც ჩვენ ვკარგავთ, მისი აღდგენა აღარ შეგვიძლია. ამდენად, განსაკუთრებით სათუთად უნდა მივუდგეთ ამ საკითხს და მინიმუმამდე უნდა იყოს დაყვანილი შეცდომები. მეორე მიმართულება ეს არის კვლევითი და მმართველობითი ინსტიტუციების გაძლიერება, სადაც თავმოყრილი უნდა იყვნენ მაღალი დონის პროფესიონალები. რაც უფრო მნიშვნელოვანია, ამ ადამიანებს უნდა ქონდეთ დამოუკიდებლობის ძალიან მაღალი ხარისხი. მათ უნდა ქონდეთ საშუალება, მიიღონ გადაწყვეტილება და ამ გადაწყვეტილებაზე არ იმოქმედონ კონკრეტულმა პოლიტიკურმა ძალმა. დღეს კულტურული მემკვიდრეობა არ არის პოლიტიკის გარეთ. კულტურული მემკვიდრეობა არის ჩვენი საგანძური, რომელის დაცვაზე პროფესიონალებმა უნდა იზრუნონ. პოლიტიკოსებმა უნდა უზრუნველყონ ჩვენი საგანძურის გვირგვინიდან კეთილდღეობის რესურსად გადაქცევა.

მეორე, აუცილებელია ინტეგრირებული მართვის სისტემის შექმნა. ფაქტობრივად კულტურულ მემკვიდრეობას დღეს ერთი ინსტიტუცია მართავს. ასე არ შეიძლება, ეს აბსოლუტურად წარმოუდგენელია. კულტურულ მემკვიდრეობას მრავალი პლასტი აქვს - სოციალური, ეკონომიკური, ეკოლოგიური. ამიტომ აქ ყველა ინსტიტუცია უნდა იყოს ჩართული. წარმოუდგენელია, სხვადასხვა ინსტიტუციებს კულტურული მემკვიდრეობის განვითარებაზე სხვადასხვა წარმოდგენები ქონდეთ და ისინი ერთმანეთთან კონფლიქტში მოდიოდნენ, როგორც არის კულტურისა და ეკონომიკის სამინისტროების შემთხვევაში. კულტურის სამინისტროს პრიორიტეტად უდევს, რომ ძეგლს იცავს, თუმცა, როგორც წესი, ასევე ვთქვათ, ეკონომიკის სამინისტრო სჯობნის და ძალიან ხშირად ეკონომიკურ სარგებელს კონკრეტული ობიექტები ეწირება.

ასევე, ჩვენ ცალკე გამოვყავით კულტურული მემკვიდრეობის დეცენტრალიზაციის აუცილებლობა. დღეს რეგიონულ ხელისუფალთ რეგიონულ ძეგლებზე მართვის, მონიტორინგის, თუ კონკრეტული ღონისძიების გატარების კომპეტენცია არ გააჩნიათ. საერთაშორისო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ადგილობრივი ძეგლები ადგილობრივი ხელისუფლების მიერ იმართება. პირველ რიგში ეს მათი საგანძურია - ეკონომიკური კეთილდღეობის მომგანია. ამიტომ, დღევანდელი ცენტრალური მოდელი არ ამართლებს და ამას ჩვენ ყოველ ნაბიჯზე ვხედავთ. ნუ დაველოდებით, როდის განვითარდება რეგიონებში კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ინსტიტუციები. იგი არც არასდროს განვითარდება, თუ ამას ჩვენ ხელს არ შეუწყვეთ. დღესვე დასაწყებაა კულტურული მემკვიდრეობის მართვის კვლევის ინსტიტუციების განვითარება რეგიონებში და მათთვის ხელნელა კომპეტენციების გადამცემა. იმ კომპეტენციების გადამცემა, რომელსაც ქვია ადგილობრივი კულტურული მემკვიდრეობის მართვა.

კიდევ, ჩვენ გამოვყავით დაფინანსების სისტემები, რომელზეც ჩემს მეგობრებთან, ორგანიზაცია "გბილისის ამქარის" წევრებთან ერთად დიდი ხანია, ვსაუბრობთ. ეს არის დაფინანსების ახალი მოდელები. დღეს ხელისუფლება ვალდებულია იმ თანხებზე, რაც სარესტავრაციოდ არის საჭირო. არ არსებობს მსოფლიოში ხელისუფლება, რომელსაც ამის რესურსი აქვს. ამიტომ, განვითარებულმა ქვეყნებმა მოიფიქრეს მთელი რიგი ინსტრუმენტები, რომლებიც ამ პასუხისმგებლობის გადანაწილებას უწყობს ხელს, ახალ მშენებლობას და რესტავრაციას ერთ ღონეზე აყენებს. ის სტიმულაციას უწევს ბიზნესმენებს, ადამიანებს, რათა საკუთარი კულტურული მემკვიდრეობის ობიექტის რესტავრაცია მოახდინონ. რესტავრაცია და კულტურული მემკვიდრეობის ობიექტში ცხოვრება არის პრესტიჟული, მომგებიანი ეკონომიკურად. ამიტომ, ეს ინსტრუმენტები შეიძლება იყოს საგადასახადო შეღავათები, კონკრეტული ფონდის ჩამოყალიბება, რომელიც სხვადასხვა სახით, არა ისე, როგორც დღეს სახელმწიფო აკეთებს სრული სუბსიდირებით, სხვადასხვა სახით ახდენს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებში სუბსიდირებას. ფიქრობ, კულტურული მემკვიდრეობისთვის გამოყოფილი თანხები უნდა გასამზადდეს, მაგრამ არსებული თანხების ადეკვატური მართვის შემთხვევაშიც კი უკეთესი შედეგების მიღება შეიძლება. პრაქტიკულად დღეს დაფინანსების შემთხვევაში არ გვაქვს კრიტერიუმი, თუ რას დაფინანსებთ. არ გვაქვს კრიტერიუმი, თუ რომელი ძეგლია პრიორიტეტული. თუ ეს კრიტერიუმები არ იქნება, ჩვენ ყოველთვის გაგვიჭირდება და ეს ყველაფერი სუბიექტებზე იქნება დამოკიდებული. ამიტომ, პირველ რიგში, სისტემა უნდა შეიქმნას, რომელიც პრინციპზე იქნება დამყარებული და არა სუბიექტების გემოვნებაზე. ამიტომ აუცილებელია, შევქმნათ დაფინანსების სისტემა, რომელიც მემკვიდრეობის აღდგენა-განვითარების პასუხისმგებლობას ყველა იმ ადამიანზე გადაანაწილებს, რომელსაც საშუალება აქვს, ამაში თანხა ჩადოს. ეს იქნება ნებაყოფილობითი და არა ძალდატანებით. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ მათ ქონდეთ სურვილი კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების.

- თქვენ განაცხადებთ, რომ დეცენტრალიზაცია უნდა მოხდეს და კულტურული მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობა ადგილობრივმა ხელისუფლებამ განახორციელოს. როგორ ფიქრობთ, ასეთ შემთხვევაში რა დომით უნდა მონაწილეობდეს სახელმწიფო ძეგლის დაცვაში?

- რა თქმა უნდა, ხელისუფლებას ყოველთვის უნდა ჰქონდეს ბერკეტები. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სტრატეგია და მიზნები მუშავდება სახელმწიფოს მიერ და მიდის რეგიონებში. რეგიონები, რა თქმა უნდა, ჰარმონიზირებული უნდა იყვნენ იმ ცენტრალურ პოლიტიკასთან, რომელსაც კულტურის სამინისტრო ატარებს, მაგრამ უშუალოდ მართვა და მონიტორინგი ეს ადგილობრივი ხელისუფლების კომპეტენციაა. არ შეიძლება, რომელიმე რეგიონს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მიზნით ქონდეს განსხვავებული პოლიტიკა, განსხვავებით იმისა, რაც აქვს სახელმწიფოსი. ეს ხდება უნდა იყოს ერთიანი. სახელმწიფოს აქვს მიზანი, შემდეგ ყველა თავისებურად თავის წვლილს დებს ამ მიზნის შესასრულებლად. ადგილობრივი ხელისუფლების წვლილი უნდა იყოს კულტურული მემკვიდრეობის ხელდა განვითარებისა და დაცვის გზით. კულტურული მემკვიდრეობის დაცვა არის სტრატეგია და პრიორიტეტი, რომელსაც ხელისუფლება იძლევა. აი, როგორ განავითარებს ისე, რომ თან დაიცვას, ეს უკვე ადგილობრივმა ხელისუფლებამ უნდა გადაწყვიტოს. რა უნდა განავითაროს, უნდა მისცეს მას, თუ არ უნდა მისცეს გურისგული ობიექტის სტატუსი; საცხოვრებელი მისთვის მნიშვნელოვანი, თუ უფრო მნიშვნელოვანია ეკლესიები? სად რა ინგოვერა, სად არასწორად კეთდება - ამის იქედან უფრო ადვილად ვგებულობთ, ვიდრე - ცენტრალური ხელისუფლებისგან. დღეს ერთი სააგენტო 5 ათასმდე ობიექტს კურირებს და ეს სისტემა იმდენად მოშლილია, რომ პარაქტიკულად მართვა ვერ ხერხდება.

- კულტურული მემკვიდრეობა ძალიან ფართო სფეროა. თუ გაქვთ განსაზღვრული, რა იქნება თქვენი

პრიორიტეტები: ძეგლების დაცვა, არქეოლოგიური ობიექტები თუ სხვა რამ?

- ყველაზე მეტად დღეს ურბანულ მემკვიდრეობას უჭირს. აქ არის ყველაზე მეტი დაწოლა ღვევლოპერების, აქ არის ყველაზე დიდი პრობლემები. ამიტომ, მე ვფიქრობ, ამ ეტაპზე ჩვენი პრიორიტეტი იქნება ურბანული მემკვიდრეობა, ისტორიული ქალაქების გადარჩენა. ეს არის ერთ-ერთი ყველაზე დიდი გამოწვევა, რომელიც ამ ხელისუფლებამ, შემდეგმა ხელისუფლებამ თუ პოლიტიკურმა ძალებმა, ეს გამოწვევა უნდა მიიღონ და აქედან გამოსავალი მოძებნოს, გარდატეხა მოახდინოს, რათა ქალაქები განვითარდნენ და თან ეს ისტორიული ზონები შეინარჩუნონ.

- არ შემიძლია, აქვე არ გკითხვით "პანორამა თბილისის" შესახებ, რომელსაც საზოგადოება თბილისის ისტორიული იერსახის დანგრევის ერთ-ერთ პრობლემად განიხილავს. როგორ ფიქრობთ, რა შეიძლება რომ გაკეთებულიყო?

- "პანორამა თბილისის" ძველი თბილისისთვის ცალსახად ნეგატიური პროექტია. ძველ თბილისს აღარ სჭირდება დამატებით ახალი ფუნქციები და გრანდიოზული მშენებლობები. პირიქით, მას სჭირდება განგვირთვა. ძველი ქალაქიდან რაღაც ფუნქციების პერიფერიებში გადატანა უნდა მოხდეს. თუ "პანორამა თბილისის" განხორციელება, თანხა თბილისის, როგორც ისტორიული ძეგლის განადგურებას მოხმარდება. ამაზე საერთაშორისო ექსპერტებმაც კი მოგვწერეს და გვთხოვეს, რომ ეს არ გავაკეთოთ. დღეს ჩვენ ვართ იუნესკო-ს მომლოდინე ქალაქების სიაში. გვაქვს შანსი, რომ მსოფლიოში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და უნიკალური ქალაქი გავხდეთ, მაგრამ თუ ეს პროექტი განხორციელდება, ჩვენ ამ შანსს ვკარგავთ. ეს არის ის, რაც დღეს "პანორამა თბილისმა" შეიძლება მოგვცეს, თუ თუ ის სოლოლაკში განხორციელდება. ეს პროექტი რომ პერიფერიაზე განხორციელდებოდა, ახალი ქალაქის მშენებლობა შეიძლებოდა დაწყებულიყო. ეს არის ერთადერთი გზა, რაც გააკეთეს პარიზმა, ლონდონმა, ყველა ევროპულმა ქალაქმა, რომლებმაც ბიზნეს-ცენტრები ისტორიული ქალაქიდან გაიტანეს. ეს სუნთქვის, გადარჩენის საშუალებას აძლევს ისტორიულ ზონას. "პანორამა თბილისის" პროექტისთვის საჭირო თანხა არის საკმარისი იმისთვის, რომ ხელისუფლებამ ახალ თბილისს მისცეს დასაბამი. საშვილიშვილო, ისტორიული საქმე ქნას, სადაც ღვევლოპერები, ბიზნესმენები ახალ თბილისს ააშენებენ. იქ იქნება 21-ე საუკუნის მორგებული ინფრასტრუქტურა. იქ ჩვენ შეგვიძლია, ავაშენოთ 21-ე საუკუნის თბილისი და ავაშენოთ ისე, რომ არ დავანგრეთ ძველი. ეს იქნება იდეალური შემთხვევა. თუმცა, ამაზე ინვესტორები არ მოდიან.

- თქვენ საუბრობდით, რომ საჭიროა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სტრატეგიის შექმნა. თქვენ თუ გაქვთ უკვე შემუშავებული ეს სტრატეგია და გეგმა? დაახლოებით რა თანხები იქნება ამისთვის საჭირო?

- მომდევნო თვეებში ჩვენ სტრატეგიასა და კონკრეტულ გეგმას აუცილებლად გავწერთ. თუმცა, რაც ამ ხელვაში დევს, ეს ნიშნავს არსებული ბიუჯეტის გასამზაგებას. მემოთ აღნიშნული მიმართულებებიდან პირველი პირველ ეტაპზე შესაძლებელია, მოხდეს კვლევითი და მართვითი ინსტიტუტების გაძლიერება. ასევე, საკანონმდებლო ბაზისა და რეგულაციების საერთაშორისო სტანდარტებთან მორგება, ეს რთული არ არის. სტრატეგიის განხორციელების პირველივე წელსვე შესაძლებელია მოხდეს დეცენტრალიზაციაც.

- "თავისუფალმა დემოკრატებმა" კულტურული მემკვიდრეობის დაცვა ერთ-ერთ პრიორიტეტად გამოაცხადეთ. როგორ ფიქრობთ, რამ განაპირობა ეს?

- კულტურული მემკვიდრეობა არის ის საგანძური, რომლის დაცვა ქვეყნის ღირსების საკითხია. ძალიან ძნელია, რომ ამას არ ეთანხმებოდეს. ძალიან კარგია, რომ ამ პოლიტიკურმა ძალამ ასეთი რთული თემა აიღო და თავის პრიორიტეტად აქცია. ეს არის ერთადერთი გზა, როდესაც ყველა, პროფესიონალები, მოქალაქეები, პოლიტიკური ძალები ერთი სტრატეგიას იმუშავენ, ერთი მიზნის მისაღწევად - გადავარჩინოთ ჩვენი კულტურული მემკვიდრეობა. დასაფასებელია, რომ ეს პოლიტიკური ძალა გავიდა ჩარჩოდან (ასე ვთქვამთ, ყველა პოლიტიკურ ძალას ძირითადად ერთნაირი თემები აქვს) და ჩარჩოში შემოიყვანა ახალი უმნიშვნელოვანესი თემა, რომელიც პოლიტიკური პარტიებისთვის, სახელმწიფოსთვის, მოქალაქისთვის პრიორიტეტი უნდა იყოს. კულტურული მემკვიდრეობის დაცვა უნდა გახდეს სახელმწიფოს პრიორიტეტი. სახელმწიფოს განვითარებაში ინტეგრირებული უნდა იყოს კულტურული მემკვიდრეობა. კულტურული მემკვიდრეობა არის ჩვენი რესურსი, რაც შეგვიძლია გამოვიყენოთ. სამწუხაროდ, ჩვენ ამ რესურსს არ ვიყენებთ.

ეკა ბახუტაშვილი
"ინტერპრესნიუსი"